კავკასიის უნივერსიტეტი

კავკასიის განათლების სკოლა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	განათლების პოლიტიკა
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე	Education Policy
უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური	მაგისტრატურა
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	აკადემიური
სწავლების ენა	ქართული
მისანიჭებელი კვალიფიკაცია, კოდი	0111
ქართულად:	განათლების პოლიტიკის მაგისტრი
ინგლისურად:	Master of Education Policy
პროგრამის დამტკიცების თარიღი	კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტის, 2025 წლის 21 მარტის ბრძანება N01/01-27
პროგრამის განახლების თარიღი	
პროგრამის ხელმძღვანელი და თანახელმძღვანელი	**ალუდა გოგლიჩიძე** - კავკასიის უნივერსიტეტის აფილირებული ასოცირებული პროფესორი (ხელმძღვანელი) **შალვა ტაბატაძე** - კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი (თანახელმძღვანელი) **ნინო ძოწენიძე** - კავკასიის უნივერსიტეტის აფილირებული ასოცირებული პროფესორი (თანახელმძღვანელი)

პროგრამის მოცულობა კრედიტებით	

განათლების პოლიტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა არის 120 ECTS კრედიტიანი, რომელიც განაწილებულია 4 სემესტრზე და ყოველი სემესტრი მოიცავს 30 ECTS კრედიტს. შესაბამისად, პროგრამის სავარაუდო ხანგრძლივობა შეადგენს 2 აკადემიურ წელს. სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით. ერთი სემესტრი მოიცავს 20 სასწავლო კვირას, შესაბამისად, სასწავლო წელი დაგეგმილია 40 კვირაზე. 1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს, რაც მოიცავს, როგორც სტუდენტის საკონტაქტო დატვირთვის დროს (ლექცია, სემინარი, პრაქტიკუმი და სხვა), ასევე მისი დამოუკიდებელი მუშაობის დროს (შუალედური და დასკვნითი

გამოცდებისთვის მზადებას, აგრეთვე საშინაო დავალების მომზადებისა და პრეზენტაციისათვის განკუთვნილ საათებს).

პროგრამის ფარგლებში, განათლების პოლიტიკის არსიდან და თანამედროვე დანიშნულებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია უშუალოდ პოლიტიკის ანალიზის შემსწავლელ საგნებს და მათ გამოყენებას სოციალურ, კულტურულ, ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ ჭრილში. სულ განათლების პოლიტიკის და ანალიზის მიმართულებას დათმობილი აქვს 75 ECTS კრედიტი (განათლების პოლიტიკისა და ანალიზის სავალდებულო კურსები - 45 ECTS კრედიტი და სამაგისტრო ნაშრომი - 30 ECTS კრედიტი).

პროგრამის ფარგლებში მნიშვნელოვანი როლი ენიჭება კვლევითი და პრაქტიკული უნარების განვითარებას. კვლევის მიმართულებით 5 ECTS კრედიტი ეთმობა საბაზისო კურსს - განათლების კვლევის მეთოდოლოგიას; 5 ECTS კრედიტი არის არჩევითი კურსებიდან - რაოდენობრივი ან თვისებრივი კვლევის მიმართულებით და 5ECTS კრედიტი ეთმობა პროფესიული პრაქტიკის და პრაქტიკის კვლევის საგანს, ხოლო სტუდენტს სამაგისტრო ნაშრომის მომზადებაში ეხმარება, როგორც კვლევის ბლოკის საგნები, ასევე სავალდებულო-არჩევითი კურსების ბლოკში შემოთავაზებული არჩევითი საგნებიც.

პრაქტიკული უნარები ვითარდება როგორც პროფესიული პრაქტიკის და პრაქტიკის კვლევის საგანში, ასევე ცალკეულ კურსებში, მათ შორის კვლევის კურსების ფარგლებში, ისე სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას.

სტუდენტებს ასევე აქვთ შესაძლებლობა გაიარონ სავალდებულო საგნები ცვლილებების მართვის ბლოკიდან, სულ 20 ECTS კრედიტი.

საერთო ჯამში პროგრამის ფარგლებში კრედიტები ნაწილდება შემდეგნაირად:

1. სავალდებულო კურსების ბლოკი - განათლების პოლიტიკა და ანალიზი - 45 ECTS კრედიტი;
2. სავალდებულო კურსების ბლოკი - ცვლილებების მართვა - 20 ECTS კრედიტი;
3. სავალდებულო-არჩევითი კურსების ბლოკი - 10 ECTS კრედიტი;
4. პრაქტიკის და კვლევის ბლოკი (სავალდებულო/არჩევითი) - 45 ECTS კრედიტი.

განათლების პოლიტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ვადის ამოწურვის შემდეგ აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტს უფლება აქვს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების მიზნით სწავლა განაგრძოს დამატებითი სემესტრების (არა უმეტეს 6 სემესტრისა) განმავლობაში, სტუდენტის სტატუსის შენარჩუნებით.

სასწავლო გეგმით გათვალისწინებული 120 ECTS კრედიტის ფარგლებში, სტუდენტს ასევე აქვს შესაძლებლობა, მაქსიმუმ 10 ECTS კრედიტი (არჩევითი სტატუსის მქონე საგნების ჩანაცვლების ხარჯზე), აითვისოს თავისუფალი კრედიტებით.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

განათლების პოლიტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა:

1. ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
2. შესაბამისი ტიპის საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარება;
3. ინგლისური ენის B2 დონის ცოდნის დადასტურება
   - ✓ კავკასიის უნივერსიტეტის კავკასიის განათლების სკოლის სპეციალობასთან რელევანტური მისაღები გამოცდის წარმატებით გავლა მოიცავს ინგლისური ენის გააზრებისა და წერის კომპონენტებს B2 დონის შესაბამისად;
   - ✓ აპლიკანტი შეიძლება განთავისუფლდეს მოცემული პირობისაგან იმ შემთხვევაში თუ წარმოდგენილი არის ინგლისური ენის ცოდნის B2 დონის სერტიფიკატი (TOEFL, IELTS, CAE, TOEIC, FCE (Grades A, B), CPE ან სხვა სერტიფიკატი მათი ვალიდურობის დადასტურების შემთხვევაში) ან არსებობს უნივერსიტეტის რეგულაციით დადგენილი სხვა გარემოება.
   - ✓ აპლიკანტი რომლის დიპლომის დანართი ადასტურებს B2 დონეზე ინგლისური ენის ცოდნის კვალიფიკაციას ან რომელსაც დამთავრებული აქვთ საბაკალავრო ან სამაგისტრო ინგლისურენოვანი პროგრამა თავისუფლდება სერტიფიკატის წარმოდგენისა და ინგლისურ ენაში შიდასაუნივერსიტეტო გამოცდისაგან.

4. კავკასიის განათლების სკოლის მიმღებ კომისიასთან გასაუბრების წარმატებით გავლა. საბუთების შემოწმების ეტაპის შემდეგ აპლიკანტები გასაუბრებას გაივლიან კავკასიის განათლების სკოლის მიმღებ კომისიასთან. კომისია აპლიკატებს შეაფასებს შემდეგი კრიტერიუმების შესაბამისად:
   - ✓ განათლების პოლიტიკის კომპეტენციების განვითარების მოტივაცია;
   - ✓ ანალიტიკური აზროვნების, ლოგიკური მსჯელობის და კომუნიკაციის უნარები;
   - ✓ საბაკალავრო ან სხვა წინა საგანმანათლებლო გამოცდილებაზე რეფლექსიის უნარი;
   - ✓ საგანმანათლებლო სექტორში მიღებული სამუშაო გამოცდილება (უპირატესობა ენიჭება თანაბარი პირობების შემთხვევაში).
5. საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების გარეშე პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესის მიხედვით;
6. პროგრამაზე მობილობის წესით სტუდენტის ჩარიცხვა ხორციელდება კანონმდებლობის და უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად.

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

პროგრამის მიზანი	კავკასიის განათლების სკოლის **განათლების პოლიტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო** პროგრამის მისია არის მაღალი კვალიფიკაციის მქონე განათლების პოლიტიკის სპეციალისტების მომზადებით ხელი შეუწყოს განათლების სისტემის ყველა დონეზე და სექტორში ხარისხიანი პოლიტიკის შემუშავებასა და ქვეყნის სოციალური, პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფას ადგილობრივი, რეგიონული თუ გლობალური გამოწვევებისა და ტენდენციების გათვალისწინებით. განათლების პოლიტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები არის: 1. განათლების პოლიტიკის არსისა და მნიშვნელობის გააზრება – სტუდენტებისთვის განათლების პოლიტიკის ფუნდამენტური პრინციპების, ისტორიული განვითარების და კონტექსტუალური მნიშვნელობის საფუძვლიანი გაცნობა. 2. განათლების პოლიტიკის ანალიზი და კრიტიკული შეფასება – სტუდენტებისთვის შესაბამისი მეთოდოლოგიებისა და ანალიტიკური ინსტრუმენტების სწავლება, რაც მათ საშუალებას მისცემს, კრიტიკულად შეაფასონ განათლების პოლიტიკაში მიმდინარე პროცესები და განსაზღვრონ სფეროში არსებული გამოწვევების გადაჭრის გზები. 3. პოლიტიკის შემუშავება და ეფექტური კომუნიკაცია – სტუდენტების უნარების განვითარება, რათა მათ შეძლონ განათლების პოლიტიკის საკითხების მკაფიო ფორმულირება, კომუნიკაცია და დაინტერესებული მხარეების ჩართულობის უზრუნველყოფა პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში. 4. განათლების პოლიტიკის ხარისხის გაუმჯობესება – პროგრამის კურსდამთავრებულების აღჭურვა ცოდნითა და პრაქტიკული უნარებით, რომლებიც მათ შესაძლებლობას მისცემს, მონაწილეობა მიიღონ განათლების პოლიტიკის გაუმჯობესებაში, მისი როლის გაძლიერებაში და ქვეყნის განვითარების პროცესში. 5. პროფესიული განვითარება და ახალი ცოდნის შექმნა – სტუდენტების წახალისება უწყვეტი პროფესიული ზრდისკენ, ინოვაციური მიდგომების შესწავლისა და განათლების პოლიტიკის სფეროში ახალი ცოდნის შექმნის პროცესში აქტიური ჩართვისკენ.
პროგრამის სწავლის შედეგები	**განათლების პოლიტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის** დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული შეიძენს შემდეგ კომპეტენციებს:

	<u>სწავლის შედეგი #1:</u> აღწერს და პრაქტიკაში იყენებს განათლების პოლიტიკის არსსა და მნიშვნელობას. *<u>შეფასების ინდიკატორები:</u>* 1.1. აღწერს განათლების პოლიტიკასთან დაკავშირებულ ცნებებს, თეორიებს, პოლიტიკის ანალიზის მეთოდებს და პოლიტიკის შემუშავება-განხორციელების პროცესს; 1.2. განმარტავს ეროვნულ განათლების სისტემას და მისი ფუნქციონირების სამართლებრივ ჩარჩოს; 1.3. განიხილავს ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ კონტექსტს და განათლების პოლიტიკის როლს არსებული გამოწვევების დაძლევაში; 1.4. მიმოიხილავს განათლების პოლიტიკის მიმართულებით საერთაშორისო გამოცდილებას, მიღწევებსა და სფეროს გამოწვევებს. **<u>სწავლის შედეგი #2:</u> კრიტიკულად აფასებს განათლების პოლიტიკაში მიმდინარე პროცესებს და განსაზღვრავს სფეროში არსებული გამოწვევების დაძლევის ეფექტურ გზებს.** *<u>შეფასების ინდიკატორები:</u>* 2.1. განიხილავს განათლების პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებს და ახდენს კონკრეტულ გამოწვევათა / პრობლემათა იდენტიფიცირებას და ფორმულირებას; 2.2. აგროვებს და კრიტიკულად აფასებს არსებულ მონაცემებსა და კვლევებს და იყენებს მათ როგორც მტკიცებულებებს განათლების პოლიტიკის საკითხების ანალიზისას; 2.3. შესაბამისი მეთოდების გამოყენებითა და აღიარებული სტანდარტების დაცვით გეგმავს და ახორციელებს კვლევას რათა უზრუნველყოს ახალი მონაცემების შეგროვება; 2.4. ობიექტურ მტკიცებულებებზე დაყრდნობით, ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური თუ კულტურული კონტექსტისა და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით კრიტიკულად აანალიზებს განათლების პოლიტიკის საკითხებს და შეიმუშავებს პრობლემათა გადაჭრის ალტერნატიულ გზებს, განსაზღვრავს მოსალოდნელ შედეგებსა და აფასებს რისკებს. **<u>სწავლის შედეგი #3:</u> თანამედროვე ტექნოლოგიებისა და ეფექტური კომუნიკაციის გამოყენებით ავითარებს განათლების პოლიტიკის ხარისხს ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევების დაძლევის პროცესში.** *<u>შეფასების ინდიკატორები:</u>* 3.1. განათლების პოლიტიკის საკითხების ანალიზისა და არსებული გამოწვევების გადაჭრის გზების შემუშავების პროცესში ახორციელებს ეფექტურ კომუნიკაციას და თანამშრომლობს შესაბამის ინტერესთა ჯგუფებთან/დაინტერესებულ მხარეებთან და ახდენს მათი ინტერესების, არგუმენტებისა და უკუკავშირის ინტეგრირებას; 3.2. პოლიტიკის განმსაზღვრელებსა და გადაწყვეტილების მიმღებებს წარუდგენს ანალიტიკურ დოკუმენტებს განათლების სფეროს საჭიროებებზე და შესაძლებლობებზე ადეკვატური რეაგირებისათვის ეფექტიანი გადაწყვეტილებების შესახებ; 3.3. პოლიტიკის დოკუმენტებსა და ანალიზის შედეგებს წერილობითი და ზეპირი ფორმით, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. წარუდგენს აკადემიურ, პროფესიულ თუ სხვა სამიზნე აუდიტორიას და განსაზღვრავს მათი ადვოკატირების სტრატეგიებს. **<u>სწავლის შედეგი #4:</u> იკვლევს, ქმნის და ნერგავს ინოვაციურ მიდგომებს პროფესიული განვითარებისა და სფეროს გაუმჯობესებისთვის.** *<u>შეფასების ინდიკატორები:</u>* 4.1. სწავლასა და საქმიანობაში ეფექტურად იყენებს ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის პრინციპებს და ინტერპერსონალური კომუნიკაციის უნარებს;

	4.2. ქმნის კვლევით თუ ანალიტიკურ ნაშრომს/პროექტს და ახალ ცოდნას კვლევის შესაბამისი მეთოდების და მონაცემთა ანალიზის გამოყენებით, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებისა და ეთიკური ნორმების დაცვით; 4.3. თავისი საქმიანობით ხელს უწყობს ქვეყანაში განათლების პოლიტიკის ანალიზის პრაქტიკის დამკვიდრებასა და ახალი ცოდნის დაგროვებას; 4.4. განსაზღვრავს ინდივიდუალურ სასწავლო საჭიროებებს და გეგმავს შემდგომ პროფესიულ განვითარებას.
დასაქმების სფეროები	განათლების პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის დამთავრების შედეგად სტუდენტს მიენიჭება მაგისტრის აკადემიური ხარისხი და მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად უფლება ექნება დასაქმდეს საჯარო სექტორში, როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე განათლებაზე პასუხისმგებელ სტრუქტურებში თუ ორგანიზაციებში, ასევე განათლების სფეროში მოქმედ კერძო, არასამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციებში, როგორც სკოლამდელი, ზოგადი, პროფესიული, უმაღლესი და ზრდასრულთა განათლებისა და მეცნიერების მიმართულებით. უშუალოდ განათლების სფეროს გარდა, მათ ექნებათ დასაქმების საშუალება ნებისმიერ სფეროში (ეკონომიკა, ჯანდაცვა და ა.შ.) განათლების კუთხით (კვლევები, კადრების მომზადება და სხვ.).
სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა	განათლების პოლიტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს უფლება აქვს სწავლა განაგრძოს სადოქტორო პროგრამაზე, კანონით დადგენილი წესის შესაბამისად.

სწავლებისა და სწავლის მეთოდები

სწავლის პროცესში, კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, გამოყენებულ იქნება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა:

- ✓ ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი;
- ✓ წიგნზე მუშაობის მეთოდი;
- ✓ პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL);
- ✓ შემთხვევის ანალიზი(Case study);
- ✓ წერითი მუშაობის მეთოდი/წერითი დავალებები;
- ✓ როლური და სიტუაციური თამაშები;
- ✓ დისკუსია/დებატები;
- ✓ ჯგუფური მუშაობა;
- ✓ გონებრივი იერიში;
- ✓ დემონსტრირების მეთოდი;
- ✓ ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი;
- ✓ თანამშრომლობითი სწავლება;
- ✓ პრეზენტაცია;
- ✓ ახსნა–განმარტებითი მეთოდი და სხვ.

სწავლება-სწავლის პროცესში მეთოდები ერთმანეთს ავსებენ და ერთმანეთში გადადიან. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პირები

პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს:

- 1 აფილირებული პროფესორი;
- 1 პროფესორი;
- 3 აფილირებული ასოცირებული პროფესორი;
- 4 აფილირებული ასისტენტ-პროფესორი;
- 5 მოწვეული ლექტორი.

პროგრამის სხვა რესურსები
კავკასიის განათლების სკოლას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები საქართველოსა და უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებთან, აგრეთვე სამთავრობო, არასამთავრობო და კერძო ორგანიზაციებთან.

განათლების პოლიტიკის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა

(მოდულების, საგნების, შესაბამისი კრედიტების მითითებით)

№	საგნის კოდი	წინაპირობა	საგანი/მოდული	სწავლების წელი				ECTS კრედიტი
				I		II		
				E ECTS კრედიტი				
				I სემ.	II სემ.	I სემ.	II სემ.	
			1. სავალდებულო კურსების ბლოკი - განათლების პოლიტიკა და ანალიზი	**15**	**20**	**10**	**0**	**45**
1	EPOL 51131	არ აქვს	განათლების პოლიტიკის შესავალი	5				5
2	EPOL 51132	არ აქვს	განათლების პოლიტიკის დაგეგმვა და ანალიზი	5				5
3	EPOL 51133	არ აქვს	განათლება და საჯარო პოლიტიკა	5				5
4	EPOL 61132	EPOL 51133	განათლების პოლიტიკის ეფექტიანობა-ხარჯების ანალიზი		5			5
5	EPOL 52131	EPOL 51133	განათლების პოლიტიკა და ფინანსები		5			5
6	EPOL 52132	EPOL 51131	განათლების პოლიტიკის სოციალური და კულტურული ასპექტები		5			5
7	EPOL 52133	EPOL 51131	განათლების პოლიტიკა და შრომის ბაზარი		5			5
8	EPOL 61131	არ აქვს	განათლების პოლიტიკაზე დაფუძნებული კანონშემოქმედებითობა, ადვოკატირება და ლობიზმი			5		5
9	EPOL 61133	EPOL 51131	განათლების პოლიტიკა და ხარისხის მართვა			5		5
			2. სავალდებულო კურსების ბლოკი - ცვლილებების მართვა	**10**	**5**	**5**	**0**	**20**
1	TMEN 51131	არ აქვს	საგანმანათლებლო პროექტების მართვა, მონიტორინგი და შეფასება	5				**5**
2	TMEN 51132	არ აქვს	განათლების ადმინისტრირება, ეთიკა და ლიდერობა	5				**5**
3	TMEN 52131	არ აქვს	სტრატეგიული კომუნიკაცია		5			**5**
4	TMEN 61131	TMEN 52131	კონფლიქტების მართვა და მოლაპარაკებების ხელოვნება			5		**5**
			3. სავალდებულო - არჩევითი კურსების ბლოკი	**0**	**0**	**10**	**0**	**10**
1	PELE 51131	არ აქვს	თანამედროვე პედაგოგიკა და განათლების საკვანძო კომპეტენციები			5		**5**
	PELE 51132	EPOL 61132	განათლების ეკონომიკა					
	ELEC 50130	არ აქვს	თავისუფალი კრედიტი					
2	PELE 61131	არ აქვს	განათლების პოლიტიკა და მართვა მულტიკულტურულ სახელმწიფოში			5		**5**
	PELE 61132	არ აქვს	განათლების პოლიტიკა და მდგრადი განვითარება					
	PELE 61133	EPOL 51132	განათლების პოლიტიკა და მშვიდობის მშენებლობა					
			4. პრაქტიკისა და კვლევის ბლოკი (სავალდებულო/სავალდებულო - არჩევითი)	**5**	**5**	**5**	**30**	**45**
1	PRES 5213	არ აქვს	განათლების კვლევის მეთოდოლოგია - შესავალი კურსი	5				**5**
2.1	PRES 61131	PRES 5213	რაოდენობრივი კვლევა და სტატისტიკური ანალიზი		5			**5**
2.2	PRES 61132	PRES 5213	თვისებრივი კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია					
3.1	PACR 61131	PRES 61131 / PRES 61132	პროფესიული პრაქტიკა და პრაქტიკის კვლევა			5		**5**
3.2	ELEC 60130	არ აქვს	თავისუფალი კრედიტი					
4	PTHE 6213	PRES 61131 / PRES 61132	სამაგისტრო ნაშრომი				30	**30**
ECTS კრედიტები			სემესტრში	**30**	**30**	**30**	**30**	**120**
			წელიწადში	**60**		**60**		**120**
საგნების\მოდულების რაოდენობა წელიწადში				12		7		21